პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 172 (3149) | 4 | 1966 წ. სექტემბერი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 3 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „არარატი“ (ერევანი) 3:1 (2:0).

„არარატი“: ა. აბრამიანი (ფამირციანი), სეროპიანი, ავეტისიანი, სიომინი, მესროპიანი, კოვალენკო, მ. აბრამიანი, ოვსეპიანი, ეგიზარიანი, ოვივიანი (ზანაზანიანი), სიმონიანი.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, წვერავა (ერქომაიშვილი), ვეკუა, ხაჟალია, ასიტაშვილი, გ. ნოდია.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

## სსრ კავშირის პირველობა

# ასე გავიდა გოლები

„არარატი“ ქუთაისელთა „კარის მეზობელია“ სატურნირო ცხრილში. თანაც, პირველ წრეში ტორპედოელები დღევანდელ მეტოქესთან დამარცხდნენ — 0:1. ყოველივე ეს საინტერესო და მწვავე ბრძოლის გარანტიას იძლეოდა. მართლაც ასე მოხდა.

პირველი 10 წუთი მეტოქეებმა ურთიერთდაზვერვას მოანდომეს, შემდეგ კი ინიციატივას თანდათან დაეუფლნენ მასპინძლები და ერევნელთა საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. ერთ-ერთი შეტევის დროს ხაჟალია „მოცელეს“. საჯარიმო 40 მეტრიდან შესანიშნავად განახორციელა კუტივაძემ, რომელმაც ყუმბარისებური დარტყმით კარში გაგზავნა ბურთი — 1:0. ეს მოხდა მე-19 წუთზე. სულ მალე მან კვლავ ძლიერად დაარტყა კარში და აბრამიანმა გაჭირვებით მოიგერია ბურთი კუთხურზე.

პირველი ტაიმის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა ასიტაშვილმა მარცხენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა და ხაჟალიამ ლამაზი თავური დარტყმით გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

შესვენების შემდეგ ტორპედოელები უპირატესად დაცვაზე ზრუნავდნენ, მაგრამ მათი ეპიზოდური შეტევები საკმაოდ სახიფათო იყო. 55-ე წუთზე ხაჟალია მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კარგად ჩააწოდა ბურთი კარის გასწვრივ. ერევნელთა მეკარე მოტყუვდა და აი, ნოდია ცარიელი კარის წინ აღმოჩნდა. მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. 66-ე წუთზე ისევ ხაჟალიას გადაცემით ზედ საჯარიმო მოედნის ხაზიდან წვერავამ ანგარიში გაზარდა — 3:0. 8 წუთის შემდეგ კვასხვაძემ ძნელი ბურთი მოიგერია, მაგრამ იქვე გაჩნდა მ. აბრამიანი, რომელმაც გაიტანა ერთადერთი საპასუხო გოლი.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 4 სექტემბრისათვის

კლასი „ა“ I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 23 | 16 | 6 | 1 | 47—8 | 38 |
| ცსკა | 21 | 12 | 6 | 3 | 49—28 | 30 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 24 | 11 | 7 | 6 | 38—24 | 29 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 23 | 11 | 7 | 5 | 33—27 | 29 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 21 | 8 | 11 | 2 | 23—14 | 27 |
| სკა (როსტოვი) | 23 | 13 | 1 | 9 | 36—36 | 27 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 23 | 8 | 7 | 8 | 28—19 | 23 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 9 | 5 | 8 | 32—24 | 23 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 23 | 9 | 5 | 9 | 30—35 | 23 |
| „დინამო“ (თბილისი) | 22 | 7 | 8 | 7 | 24—22 | 22 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 20 | 9 | 4 | 7 | 21—21 | 22 |
| „დინამო“ (მინსკი) | 22 | 6 | 8 | 8 | 22—26 | 20 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 21 | 8 | 3 | 10 | 19—25 | 19 |
| „არარატი“ (ერევანი) | 24 | 6 | 7 | 11 | 18—36 | 19 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 23 | 5 | 8 | 10 | 20—29 | 18 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 23 | 7 | 4 | 12 | 31—42 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 22 | 3 | 10 | 9 | 15—29 | 16 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 22 | 5 | 3 | 14 | 16—32 | 13 |
| სკა (ოდესა) | 22 | 1 | 6 | 15 | 11—36 | 8 |

### გუშინ...

**გაიმართა** მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

**მოსკოვში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ბაქოს „ნეფტიანიკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

**როსტოვის** არმიელებმა შინ დაამარცხეს დონეცკის „შახტიორი“ — 2:0.

ჩატარდა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. **ოდესაში** „ჩერნომორეცმა“ დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 3:1. ოდესელები ნახევარფინალში გავიდნენ.



აჭარის სპორტსმენები ენერგიულად ემზადებიან საქართველოს სპარტაკიადისთვის. მათი ძალების გენერალური შემოწმება უკვე დაიწყო — მიმდინარეობს შეჯიბრებანი აჭარის სპარტაკიადის პროგრამით. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ბათუმელმა ფოტოკორესპონდენტმა ა. ედიბაროვმა გადაიღო, აღბეჭდილია ნიჩბოსანთა შეჯიბრების მომენტი. ორადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე ასპარეზობის მონაწილეები ი. კვანტრიშვილი და ნ. მაისურაძე, რომლებმაც პირველობა მოიპოვეს.

# ოთხი დღის შემდეგ

ბუდაპეშტი, 2 სექტემბერი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის მეოთხე დღეს სსრ კავშირის ათლეტებმა გუნდურ ჩათვლაში ერთგვარად გამოასწორეს მდგომარეობა — II ადგილზე გადაინაცვლეს. მაგრამ ისინი მაინც საგრძნობლად, 20 ქულით ჩამორჩებიან ლიდერს — გდრ-ის ნაკრებს, რომელსაც 74 ქულა აქვს. პოლონელებს გაასწრეს დასავლეთ გერმანიის ათლეტებმაც. გფრ-ის კოლექტივს 51 ქულა აქვს და III ადგილზეა. რაც შეეხება მოპოვებულ მედლებს, აქ უპირატესობა აშკარად გერმანელთა გუნდების მხარესაა. გდრ-ის მძლეოსანთა ნადავლია 10 მედალი, გფრ-ისა — 9. სსრ კავშირისა და საფრანგეთის მძლეოსნებმა 7-7 მედალი მოიპოვეს.

ჩემპიონატის IV დღის ტექნიკური შედეგები კი ასეთია:

#### ქალები

**200 მეტრზე რბენა**

1. ი. კირშენშტეინი (პოლონეთი) — 23,1;
2. ე. კლობუკოვსკა (პოლონეთი) — 23,4;
3. ვ. პოპკოვა (სსრ კავშირი) — 23,7.

#### ვაჟები

**200 მეტრზე რბენა**

1. რ. ბამბიუკი (საფრანგეთი) — 20,9;
2. მ. ძუძიაკი (პოლონეთი) — 21,0;
3. ჟ. კლოდ-ნალე (საფრანგეთი) — 21,0.

საბჭოთა სპორტსმენები ფინალში არ მონაწილეობდნენ.

**400 მეტრზე თარჯრბენი**

1. რ. ფრინოლი (იტალია) — 49,8;
2. გ. ლოსდორფერი (გფრ) — 50,3;
3. რ. პუარიერი (საფრანგეთი) — 50,5;
4. ვ. ანისიმოვი (სსრ კავშირი) — 50,5.

**შუბის ტყორცნა**

1. ი. ლუსისი (სსრ კავშირი) — 84,48 მ (ევროპის ჩემპიონატების რეკორდი). ლუსისი ერთადერთი საბჭოთა ათლეტია, ვინც ბელგრადის ჩემპიონატში გამარჯვებულთაგან აქაც ისახელა თავი.
2. პ. ნიკიჩუკი (პოლონეთი) — 81,76;
3. გ. კულჩარი (უნგრეთი) — 80,54.

**ჭოკით ხტომა**

1. ვ. ნორდვიგი (გდრ) — 510 სმ (ევროპის ჩემპიონატების რეკორდი);
2. ქ. პაპანიკოლაუ (საბერძნეთი) — 505;
3. ე. დ'ანკოსი (საფრანგეთი) — 500.

ი. ფელდი (სსრ კავშირი) X იყო — 470.

ევროპის ჩემპიონატების კიდევ ორი რეკორდი გაუმჯობესდა წინასწარ ტურნირებში. მათი ავტორები არიან: ბირთვის კვრაში — ვ. ვარიუ (უნგრეთი) — 19,05 მ და ქალთა შორის შუბის ტყორცნაში მ. ლიუტგე (გდრ) — 59,70 მ.

### უკანასკნელ საათს!

◆ ბუდაპეშტი, 3 სექტემბერი. ქალთა შორის შუბის ტყორცნაში ევროპის ჩემპიონი გახდა ი. ლიუტგე (გდრ) — 58,74 მ. II ადგილზეა მ. პენეში (რუმინეთი) — 56,94 მ, III — ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი) — 55,96 მ. ვაჟებში ბირთვის კვრა მოიგო ვ. ვარიუმ (უნგრეთი) — 19,43 მ. II ადგილზეა ნ. კარასევი (სსრ კავშირი) — 18,82 მ, III — ვ. კომარი (პოლონეთი) — 18,62 მ. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ: გდრ — 67 ქულა, გფრ — 58, სსრ კავშირი — 54.

◆ **მაინის ფრანკფურტი**, 3 სექტემბერი. საველოსიპედო სპორტში მსოფლიო პირველობაზე ქალთა სპრინტი მოიგო ხარკოველმა ი. კირიჩენკომ. II ადგილზეა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ტულელი ვ. სავინა, ხოლო III — ჰ. ბლობნერი (გდრ).

## ჩვენი ქვეყნის ქალაქებში

### ელექტრონიკა და ჩოგბურთი

ორი წიგნი. ერთი — „ლითონის ზედაპირზე ატომური ნაწილაკების ურთიერთმოქმედება“, მეორე — „მოკლედ მცირე ჩოგბურთზე“. ორივე წიგნის ავტორი კი ერთი კაცია — უ. არიფოვი. დამთხვევაა? სულაც არა. უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის უბაი არიფის ძე არიფოვისთვის ჩოგბურთი მხოლოდ დიდი ხნის გატაცება როდია. მეცნიერი ხელმძღვანელობს ჩოგბურთის რესპუბლიკურ სექციას და დიდ ჯაფას ახმარს საყვარელი სპორტის პროპაგანდის საქმეს. მისი დევიზია: ჩოგბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს!

სექციის მიერ დამუშავებულ „ჩოგბურთის ხუთწლედში“ ნათქვამია, რომ 1970 წლისთვის რესპუბლიკაში ათასზე მეტი კორტი უნდა აიგოს. სექცია განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს ნორჩი ჩოგბურთელების მიმართ. არიფოვმა თავის მოწაფესთან მამაჯა იუნუსოვთან ერთად ნორჩი სპორტსმენებისთვის შეადგინა თამაშის წესები, აღწერა ეზოს კორტები და თვითნაკეთი ინვენტარი (მამაჯა არიფოვის „ორგზის მოწაფეა“ — ფიზიკოსიცაა და ჩოგბურთელიც). მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებმა ბავშვებისთვის მოამზადეს 20 ათასი გამარტივებული ჩოგანი, შეუკვეთეს ბურთები სარეზინო-ტექნიკურ ქარხანას. ახალბედა ჩოგბურთელის მთელი აღჭურვილობა ღირს... 56 კაპიკი! შეიძლება ის „პირველკლასელები“, რომლებიც თავიანთ ეზოებში თვითნაკეთ კორტებზე ამჟამად მარჯვედ ხმარობენ გამარტივებულ ჩოგნებს, რამდენიმე წლის შემდეგ ნამდვილი ოსტატები გახდნენ. ეს, რასაკვირველია, უბაი არიფოვის დამსახურებაც იქნება.

ტაშკენტი.

### იშვიათი კოლექცია

**იშვიათი** კოლექცია შეაგროვა კრასნოიარსკის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორმა გ. ხაისერვერინმა. ეს არის ჩვენი სპორტის მთელი ისტორია, გამოხატული... სამკერდე ნიშნებში. გ. ხაისერვერინს თავი მოუყრია იმ პირველი, უბრალო ნიშნებისთვის, რომლებითაც საბჭოთა ქვეყანა ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებებს აღნიშნავდა, მსოფლიოს ჩემპიონის ლიდია სკობლიკოვას მიერ მოპოვებულ ჯილდოებამდე.

მდიდრულადაა წარმოდგენილი საზღვარგარეთული სპორტული ნიშნები და მედლები. აქ თქვენ ნახავთ გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ფინეთის, ავსტრიის, იაპონიის სპორტული დიდების აღმნიშვნელ ჯილდოებს. წინათ ცნობილი სპორტსმენი, ამჟამად კი ახალგაზრდობის აღმზრდელი გ. ხაისერვერინი გამუდმებით ზრუნავს კოლექციის შევსებისთვის. ამ საქმეში მას აღზრდილები და მეგობარი სპორტსმენები ეხმარებიან.

კრასნოიარსკი.

### შვებულება... ცაში

**პ**ატარა, ლამაზი თვითმფრინავი ბილიკს ტოვებს და მაღლა, მზის შესახვედრად მიიწევს. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე ღრუბლებში ტრიალებს, უმაღლესი პილოტაჟის რთულ ფიგურებს ასრულებს. „ყოჩაღ, ნინა!“ — უნებურად აღმოხდება ყოველი ფიგურის შემდეგ ტანწერწეტა ქალიშვილს, რომელიც თვითმფრინავს მართავს.

ნინა ჩერნიხი და ლიდია ხიმვოლოკოვა მეგობრები არიან. მათ ერთად დაამთავრეს ლიპეცკის პედინსტიტუტი, ერთად ეუფლებოდნენ საავიაციო სპორტს. ისინი უკვე 3 წელია მოხოვიშჩესა და დუბოვოეს სოფლის სკოლებში ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას. მეგობრები ზაფხულობით მუდამ ჩამოდიან ლიპეცკში, დოსაამის აეროდრომზე, რათა შვებულების დღეები თვითმფრინავს დაუთმონ. ორივეს სწამს, რომ ჰაერში გატარებული საათები საუკეთესოა მათ ცხოვრებაში. ეს საათები კი ორივეს საკმაო რაოდენობით დაუგროვდა: 70-ზე მეტი. მეგობრები III თანრიგის მფრინავი-სპორტსმენები არიან.

ნინა და ლიდია გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. შვებულებას აეროდრომზე ატარებს ლიპეცკის ოლქის ბევრი ახალგაზრდა. ესენი არიან: ტექნიკოსი-მშენებელი ვ. კრივონოსოვი, ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის მუშა ი. პოპოვი და ბევრი სხვა.

ლიპეცკი.

სპორტი ფილატელიაში

## საიუბილეო სპარტაკიადას — ღირსეული შეხვედრა!

# ერთი წლით ადრე

კარგა ხანია საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს, რომ საქართველოს მესტენდურეებს წვრთნის ნორმალური პირობები არ გააჩნიათ. მთელს რესპუბლიკაში ერთი ხეირიანი სასროლეთიც არა გვაქვს, თბილისის მონკავშირის სტენდს კი მხოლოდ ორიოდე თვის წინ ახსნეს ბოქლომი. ცხადია, არარეგულარულმა ვარჯიშმა თავისი დაღი დააჩნია საქართველოს სპორტსმენების ოსტატობას და, ალბათ, სსრ კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში თავი მოგვეჭრებოდა, მდგომარეობა რომ ერთგვარად არ გამოსწორებულიყო მოსკოვში შეკრების გამართვით.

საკავშირო პირველობა IV საიუბილეო სპარტაკიადამდე ზუსტად ერთი წლით ადრე ჩატარდა. უნდა ითქვას, რომ ტურნირმა ჩვენი სპორტსმენების მომზადებაში ისეთი ხარვეზები გამოავლინა, რომელთა გამოსწორება თითქოს ძნელი არაა, მაგრამ საკმაო შრომას კი მოითხოვს.

ჩემპიონატში საქართველოს მსროლელებმა ძირითადად მონკავშირის გუნდით იყვნენ წარმოდგენილი, შეჯიბრების რამდენიმე მონაწილე კი სხვა საზოგადოებათა ღირსებას იცავდა. მაგალითად, ზ. მაჩხანელი ასპარეზობდა როგორც „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრი, ბ. იუნკინი და ვ. ალავერდოვი — „ლოკომოტივისა" და სხვ.

მონკავშირელთა შედეგები გუნდურ ჩათვლაში არც თუ სასიხარულოა. ადგილიდან მსროლელებმა V, მრგვალ სტენდზე მსროლელებმა კი VII ადგილი დაიკავეს და კომპლექსში VII ადგილს დასჯერდნენ. სულ მოვაგროვეთ 1.299 ქულა, მაშ.5, როცა ჩემპიონს — არმიელთა სამონადირეო კავშირის კოლექტივს 1.451 ქულა ჰქონდა 1.500 შესაძლებლიდან.

გუნდურ ჩათვლაში ადგილიდან მსროლელებს 200-200 სამიზნე უნდა მიეღოთ. ჩვენი კოლექტივი ჯამში თანაბრად გამოვიდა, თავად სპორტსმენებმა კი მეტად უთანაბროდ ისროლეს: კ. დარასელიამ პირველ დღეს 93 სამიზნე დაამსხვრია, მეორე დღეს — 98, გ. თოთიბაძემ — 84 და 91, თ. საგანელიძემ კი, პირიქით, პირველ დღეს 92, მეორე დღეს კი 89. პირველი დღის შედეგი საგრძნობლად გააუარესა ო. ნუკრაძემაც — 86 და 78 (ახალგაზრდა სპორტსმენს ა. ბუკიას კი ორჯერვე 81 ქულა ჰქონდა).

თავი დიდად ვერც ჩვენმა მრგვალ სტენდზე მსროლელებმა გამოიჩინეს. გუნდის ლიდერმა ტ. ქლენტმა ძლივს მოაგროვა 91 ქულა. აშკარად ვერ გამოავლინეს თავიანთი უნარი ბ. სეგალევიჩმა (85), ე. ძიძიგურმა (84), პ. კლდიაშვილმა (83). შედარებით უკეთ გამოვიდა ახალგაზრდა ტ. მატოიანი (83 ქულა).

ცხადია, ჩვენს კოლექტივს უკეთესი ადგილის მოპოვებაც შეეძლო, რომ სპორტსმენებს გუნდური ტურნირის დროსაც ისევე ოსტატურად ესროლათ, როგორც შემდეგ, პირადი ასპარეზობისას. მაგალითად, დარასელიას მესამე დღეს 97 ქულა ჰქონდა, ბოლო 2 დღის ჯამში კი მან 195 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. მას რომ პირველ დღესაც ასევე კარგად ჩაეტარებინა შეჯიბრება, IV ადგილს კი არ დასჯერდებოდა, არამედ პ. სენიჩევთან ერთად გაიყოფდა I-II ადგილს. ასეა თუ ისე, ჩვენებიდან კ. დარასელიამ ერთადერთმა გაუწია მეტოქეთ მედგარი წინააღმდეგობა.

იქნებ ვინმემ იკითხოს, დარასელიამ როგორღა შეძლო საუკეთესო სპორტული ფორმის შენარჩუნებაო? საქმე ის გახლავთ, რომ იგი სოხუმელია, სადაც შედარებით უკეთესი სტენდია და, გარდა ამისა, თავად სპორტსმენიც ძალიან მუყაითია.

რაც შეეხება მრგვალ სტენდზე სროლას, პირადი პირველობის ფინალში მხოლოდ ტ. ქლენტი გავიდა. მან 3 ქულით გააუმჯობესა წინა დღის მაჩვენებელი (91 ქულა), მაგრამ ბოლოს მაინც 23-ე ადგილს დასჯერდა.

შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორმა ემილია მელიქიშვილმა (არმიელთა სპორტკლუბი), ავადმყოფობის მიუხედავად, ადგილიდან სროლაში 100-დან 76 ქულა დააგროვა და V ადგილზე გავიდა.

საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს 16 სპორტსმენი, მათგან 12 ოსტატი, მონაწილეობდა, მაგრამ სპორტის ოსტატის ნორმა, დარასელიას გარდა, ვერავინ გაიმეორა.

სსრ კავშირის პირველობამ ცხადყო, რომ ჩვენი მესტენდურეების სამზადისში ყველაფერი რიგზე არ არის და თუ სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად არ გამოვიყენეთ, მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.

**გ. თოთიბაძე,**
**მონკავშირის სასტენდო სროლის სექციის თავმჯდომარე.**

## ამაგდარი მწვრთნელი



ლეონიდ ძეკონსკი სპორტს ბავშვობაში ეზიარა და მერე მთელი თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ჭიდაობას. 25 წლის ლ. ძეკონსკი სასწავლებლად მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში შევიდა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.

ლ. ძეკონსკიმ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება 1935 წელს, I საკავშირო ჩემპიონატში მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ მან გაიმეორა ეს წარმატება. იგი ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის მონაწილეა.

1937 წლიდან ლ. ძეკონსკი ხელმძღვანელობდა ჭიდაობის ცენტრალურ სპორტსკოლას, რომლის ბაზაზეც აღიზარდა ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ათლეტთა მთელი პლეადა. ამ შესანიშნავმა პედაგოგმა და სპეციალისტმა მუყაითი და უაღრესად დაკვირვებული საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული სპორტის წინსვლაში. მის აღზრდილთა შორის არიან ხალიჩის ცნობილი ოსტატები გ. კარტოზია, შ. ჩიხლაძე, გ. ნებიერიძე, ზ. მუხიაშვილი, ო. ეგაძე და ბევრი სხვა განთქმული მოჭიდავე.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის და მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდისთვის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლეონიდ ძეკონსკის მიეკუთვნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

# ურემი რომ გადაბრუნდება...



რედაქციაში შემოვიდა წერილი. თბილისის გაზაპარატების ქარხნის სპორტსმენი ახალგაზრდები გვატყობინებდნენ, რომ მათთან ფაქტიურად ჩაშლილია ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობა, გვთხოვდნენ საქმეში ჩავრეულიყავით, დავხმარებოდით. გადავწყვიტეთ ადგილზევე გაგვერკვია ვითარება და ქარხანას ვეწვიეთ.

ვესტიბიულში მრავლადაა წარმოდგენილი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობის ამსახველი მასალა, შრომითი ვალდებულებები, ფოტოსტენდები, კედლის გაზეთები, მაგრამ არსად არც ერთი სიტყვით არაა ნახსენები ქარხნის სპორტსმენებისა და ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობა.

საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად გულდასმით წავიკითხეთ ნაკლოვანებათა მამხილებელი წერილი და ხალხმრავალ კოლექტივში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ჩამორჩენის მიზეზთა ძიებამ რამდენიმე საყურადღებო ფაქტამდე მიგვიყვანა.

წინათ თურმე ყველაფერი თავის წესსა და რიგზე იყო. ფიზკულტურის კოლექტივს უნარიანად ხელმძღვანელობდა გ. ნიჟარაძე, მაგრამ მერე მეთოდისტის შტატი გაუქმდა. ნიჟარაძე სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს. ფიზკულტურის საბჭომ, როგორც გამოცდილ მუშაკს, ისევ მას დაავალა საზოგადოებრივ საწყისებზე გაეწია ხელმძღვანელობა ქარხნის ფიზკულტურელებისთვის, მაგრამ ნიჟარაძე უწინდებური გულმოდგინებით აღარ მოეკიდა საქმეს, რამაც მალე გამოიღო შედეგი.

ქარხანას არც საკუთარი სპორტული ბაზები გააჩნია. საწარმოს ფიზკულტურელები კარგა ხანს იქვე მდებარე მე-12 საშუალო სკოლის მოედნებზე ვარჯიშობდნენ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლის შ. ვეფხვაშვილის ხელმძღვანელობით. ამისთვის გასამრჯელო ვეფხვიშვილს ქარხნის პროფორგანიზაციიდან ეძლეოდა, მაგრამ ამ ნაბიჯს მაინცდამაინც დიდი სარგებლობა არ მოუტანია მუშათა ფიზკულტურული კოლექტივისთვის. სპორტსმენები უკმაყოფილონი იყვნენ მასწავლებელ-მეთოდისტის მუშაობით, ქარხნის დირექციამ, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კი მათი საჩივარი ყურად არ იღეს, ვიდრე პროფორგანიზაციის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის გამოყოფილი სახსრები მეთოდისტის ხელფასმა არ შთანთქა.

ადგილობრივ პროფორგანიზაციას სხვაც უნდა ვუსაყვედუროთ: ვეფხვიშვილთან ხელშეკრულებაში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ის საქმიანი მოთხოვნები, რომელთაც, ჩვეულებრივ, მეთოდისტს წაუყენებენ.

სავალალოა, რომ ქარხანაში რიგიანად არავის უმსჯელია ფიზკულტურული კოლექტივის ჩამორჩენის მიზეზებზე, არც კონკრეტული ღონისძიება დაუსახავთ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ყველამ, ვისაც კი გულგრილობისთვის ვუსაყვედურეთ, ერთხმად გვიპასუხა:

— ამიერიდან მდგომარეობა გამოსწორდება, კრებებზეც ვიმსჯელებთ ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის შესახებ, საერთოდ, უკეთესად ვიმუშავებთ...

გაფუჭებულ საქმეს მხოლოდ პასუხი ვერ უშველის.

**თ. გაჩეჩილაძე.**

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ფარიკაობაში** — ნ. ვაშაკიძეს, რ. კობიაშვილს (ორივენი — თბილისის „სპარტაკი"); **მაგიდის ჩოგბურთში** — თ. ცინცაძეს (ბათუმის „განთიადი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ნ. გუჩაშვილს (თბილისის „ლოკომოტივი"); **ტყვიის სროლაში** — ვ. სინიცინს (ბათუმის „დინამო"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — მ. მურადიანს (სოხუმის „განთიადი").

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ველოსპორტში** — ი. გოცირიძეს (თბილისი), ლ. შენგელიას (სოხუმი); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ვ. ბარციცს (სოხუმი); **აფროსნობაში** — გ. კალანდაძეს (ბათუმი); **კალათბურთში** — ა. ლომსაძეს (თბილისი); **ტყვიის სროლაში** — ქ. ჩიტაძეს (წყალტუბო), ჯ. ვაჩეიშვილს (ახალქალაქი).

# „ისინდი"

## წიგნის თარო

ასე ჰქვია სპორტულ ალმანახს, რომლის გამოცემა თავს იდო „ნაკადულმა". ახლახან გამოვიდა „ისინდის" წლევანდელი წიგნი და ათიათასიანი ტირაჟი უმალ გაიყიდა.

ამ ბოლო წლებში ქართულ ენაზე სპორტული ლიტერატურის გამოცემის საკითხი ასე თუ ისე, მოგვარდა. ქართველმა გულშემატკივრებმა რამდენიმე მიმზიდველი და საყურადღებო წიგნი მიიღეს. „ისინდი" კი მათგან იმით გამოირჩევა, რომ მკითხველს სულ სხვადასხვა და საინტერესო ამბავს მოუთხრობს.

პირველი, რაც მიზნად დაუსახავს „ისინდის" შემდგენელს ი. უგულავას, წიგნის თანადროულობაა. დაინტერესებული მკითხველი ალმანახის ფურცლებზე ამოიკითხავს ყველა იმ დიდი ასპარეზობის ამბავს, რაც „ისინდის" პირველი წიგნის (1964 წ.) შემდეგ გამართულა და რომელ შეჯიბრებებშიც ქართველ სპორტსმენებს უსახელებიათ თავი.

„ისინდი" სათანადო პატივს მიუზღავს ჩვენი წინაპრების, ამჯერად, მოჭადრაკე ვ. გოგლიძის, ველოსიპედისტ სანდრო კავსაძისა და ქართველ მამლუქთა ხსოვნას. მათზე ნაამბობი დაუცხრომელი ინტერესით იკითხება, როგორც, სხვათა შორის, ალმანახის ფურცლებზე დაბეჭდილი თითქმის ყველა მასალა.

„ისინდის" შინაარსობრივ მრავალფეროვნებას მოწმობს მის განყოფილებათა დასათაურებაც: „ოლიმპიადა, ჩემპიონები და ჩემპიონატები", „ვინ შეამკოს ღირსეულად", „ჩვენი სახელოვანი წინაპრები", „სადაც იყიდება სპორტული მიღწევები", „გავეცნოთ სპორტის ახალ სახეობებს", „სალაღობო". ამ განყოფილებებში დაბეჭდილია ავტორთა ჯგუფის — პ. იაშვილის, მ. ლებანიძის, ზ. ჯაფარიძის, ო. გიგინეიშვილის, ა. ციბაძის, ნ. გუგუშვილის, თ. გიორგაძის, ა. ცამციშვილის, ვ. ელაშვილისა და სხვების ნარკვევები და წერილები.

„ისინდი" კარგი საჩუქარია ქართველი სპორტის ქომაგებისთვის. იმედია, „ნაკადული", რომელიც ესოდენ გულმხურვალედ ეკიდება სპორტული ლიტერატურის გამოცემას, კვლავაც არ უღალატებს ტრადიციას.

**ნ. იმედაშვილი.**



# ამაო იმედი?

ზუგდიდის კულტურისა და დასვენების პარკში საცურაო აუზის მშენებლობა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. მშენებლები ერთ ხანს მონდომებით შეუდგნენ მუშაობას. გვეგონა, რომ დაწყებულ საქმეს ბოლოც ექნებოდა, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა.

აუზის ორმო გათხარეს, კედლები ამოიყვანეს და... მას შემდეგ აგერ უკვე 5 წელზე მეტია მშენებლობის დამთავრებაზე არავინ ფიქრობს. კედლები ქარისა და წვიმის სათარეშოდ იქცა, ეკალ-ბარდით დაფარულ, წვიმის წყლით სავსე აუზს ბაყაყები დაეპატრონენ.

ზუგდიდელი სპორტის მოყვარული ახალგაზრდები კი ისევ მომავლის იმედით არიან.

**ბ. ალშიბაია.**
**(ჩვენი კორ.).**

ზუგდიდი.

# ცვლა

ყოველწლიურად მატულობს რიცხვი ჩოგბურთელთა იმ ტურნირებისა, რომლებშიც საბჭოთა ოსტატები მონაწილეობენ. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გოგონებისა და ჭაბუკების საკავშირო შეჯიბრებებს. ახალგაზრდული ტურნირები დათვალიერებაა იმ რეზერვისა, რომელმაც უახლოეს ხანში სსრ კავშირის სპორტული დიდება საერთაშორისო სარბიელზე უნდა დაიცვას.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებებმა მსოფლიო ელიტის ოსტატებთან ავტორიტეტულ სპეციალისტებს ძირფესვიანად შეუცვალა აზრი ჩვენი ჩოგბურთის აწმყოსა და მომავალზე. საზღვარგარეთული პრესა დღეს ბევრს და ფართოდ წერს ჩვენი ჩოგბურთელების შესახებ. მაგალითად, ფრანგული ჟურნალი „ტენის დე ფრანსი" ამტკიცებს, რომ ჩოგბურთში ურალიდან წამოსული ტალღები მოედინებიან.

რა თქმა უნდა, ზედმეტი თვითდაჯერება იქნება, ხელაღებით მივიღოთ და ვირწმუნოთ ყოველი ამ ჯურის შექება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — საბჭოთა ჩოგბურთმა საკმაოდ დიდი ავტორიტეტი შეიქმნა და მისი განმტკიცება ახალგაზრდობის საქმეა.

გოგონებისა და ჭაბუკების წლევანდელი საკავშირო შეჯიბრებები ტალინში, „კალევის" ოც ჩინებულ კორტზე მოეწყო. პირველობისთვის ორი — უფროსი (17-18 წლის ჭაბუკები და გოგონები) და უმცროსი (16 წლის ჩათვლით) ჯგუფის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ასპარეზობაში მონაწილეობდა 120-ზე მეტი სპორტსმენი.

უფროსი ასაკის ჭაბუკებში ყველას აჯობა ესტონელმა ხეპმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა თავისი თანამემამულე ნაელი (სეპმა გაიმარჯვა შარშანდელ ტურნირშიც). III ადგილი დაიკავა ლვოველმა ქირკომ, შესანიშნავი ათლეტური მონაცემების ჩოგბურთელმა. უნდა ითქვას, რომ არა თუ გამარჯვებულები, თითქმის ყველა ჭაბუკი ჩოგბურთელი, ძალთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ათლეტია, გაბედულად იყენებს თამაშის შემტევ სტილს. ამას გარდა, თითქმის ყველა ფლობს ძლიერ გადაცემებს, დროულად გადის ბადესთან და სხვ. ოდნავ ჩამორჩება ბურთის მიღების ტექნიკა და თამაშის ტაქტიკა. უმცროსი ასაკის ჭაბუკები მოქმედების პრინციპით გაბედულად მიჰყვებიან თავიანთ უფროს კოლეგების გზას. მათი უშეცდომობის მოქმედება პროგრესულია, მაგრამ, უფროსებთან შედარებით, ყურადღების კონცენტრაციის უნარი აკლიათ, ხშირად ვერ იგერიებენ იოლ ბურთებს. მოიკოჭლებენ თამაშის ტექნიკაში, იგრძნობა ჭეშმარიტი სატურნირო გამოცდილების ნაკლებობა. გამოცდილება კი ჩოგბურთში განსაკუთრებით საჭიროა.

იმ სამ პრიზიორს გარდა, რომლებიც დავასახელე, ჩემი აზრით, ძალზე პერსპექტიული ჩოგბურთელები არიან როომერე, ტურგანი (ესტონეთი), კონდრატიევი (უკრაინა), აბაშკინი, შავლისი (საქართველო), ზელევი (ბელორუსია), რუბანოვი (მოსკოვი). უმცროსი ასაკის სპორტსმენებში თავი გამოიჩინეს გამარჯვებულმა ლასმა (ესტონეთი), პავლოვმა (როსტოვი), შიბალოვმა (უკრაინა) და მოროზოვმა (მოსკოვი).

ტალინის ტურნირმა დაადასტურა, რომ საბჭოთა ჩოგბურთს საიმედო რეზერვი ჰყავს. ჩვენ თამამად შეგვიძლია გალეას თასზე ბრძოლაში სტაბილური გამარჯვებების იმედი ვიქონიოთ. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მწვრთნელებზე.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება გოგონების ტურნირიდან? უფროსი ჯგუფის მოთამაშეებიდან ფინალში გავიდნენ მუდმივი მეტოქეები — მოსკოველები ისლანოვა („სპარტაკი") და მოროზოვა („დინამო"), რომლებიც ერთმანეთს არაფრით ჩამოუვარდებიან და რომელთა შეხვედრებიც ხან ერთის

**ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელების შესახებ**

## ფეხბურთი

### „ა“ კლასი II ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 24 | 14 | 5 | 5 | 39—20 | 33 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 23 | 10 | 9 | 4 | 26—12 | 29 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 23 | 8 | 12 | 3 | 28—18 | 28 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 24 | 8 | 12 | 4 | 21—12 | 28 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 23 | 10 | 7 | 6 | 23—18 | 27 |
| „თერგი“ (გროზნო) | 24 | 8 | 9 | 7 | 20—23 | 25 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 23 | 9 | 6 | 8 | 35—25 | 24 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 24 | 7 | 10 | 7 | 28—30 | 24 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 23 | 9 | 5 | 9 | 27—27 | 23 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 24 | 8 | 7 | 9 | 20—22 | 23 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 23 | 8 | 6 | 9 | 28—29 | 22 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 24 | 7 | 8 | 9 | 18—25 | 22 |
| „ბალტიკა“ (კალინინგრადი) | 24 | 6 | 9 | 9 | 17—24 | 21 |
| „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 24 | 5 | 10 | 9 | 22—30 | 20 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 24 | 6 | 7 | 11 | 21—32 | 19 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 23 | 5 | 9 | 9 | 11—22 | 19 |
| „დინამო“ (ტალინი) | 23 | 4 | 5 | 14 | 16—31 | 13 |

### „ბ“ კლასი IV ზონა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 27 | 17 | 6 | 4 | 58—25 | 40 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 28 | 14 | 7 | 7 | 47—28 | 35 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 27 | 14 | 6 | 7 | 37—23 | 34 |
| „მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.) | 27 | 12 | 9 | 6 | 42—26 | 33 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 27 | 14 | 5 | 8 | 26—19 | 33 |
| „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) | 28 | 12 | 8 | 8 | 29—25 | 32 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 28 | 12 | 7 | 9 | 46—27 | 31 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 28 | 13 | 4 | 11 | 34—30 | 30 |
| „კოლხიდა“ (ფოთი) | 28 | 10 | 9 | 9 | 29—25 | 29 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 27 | 10 | 8 | 9 | 36—32 | 28 |
| „უროჟაი“ (კრიმსკი) | 27 | 13 | 2 | 12 | 24—33 | 28 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 28 | 9 | 9 | 10 | 23—31 | 27 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 27 | 10 | 5 | 12 | 45—33 | 25 |
| „დილა“ (გორი) | 28 | 9 | 7 | 12 | 23—33 | 25 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 28 | 9 | 6 | 13 | 33—35 | 24 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 28 | 6 | 11 | 11 | 27—35 | 23 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 28 | 7 | 6 | 15 | 32—46 | 20 |
| „არაქსი“ (ერევანი) | 28 | 7 | 5 | 16 | 19—40 | 19 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 27 | 5 | 9 | 13 | 23—58 | 19 |
| „უროჟაი“ (დერბენტი) | 27 | 5 | 5 | 17 | 27—67 | 15 |

### ნაკვესები

● ბურთმა თქვა, ყველაზე ცბიერი მეკარეა: ჯერ გულში მიხუტებს, მერე კი პანჩურს ამომკრავს ხოლმეო.

● მსაჯმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა და გულში ნატრობდა — ნეტავ ვერ გაიტანონო.

ი. ცუცქირიძე.

სურათზე: საქართველოს თასის ფინალური მატჩი ლანჩხუთის „გურიასა“ და ზესტაფონის „მეტალურგს“ შორის. მომენტი ზესტაფონელთა კართან.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# თედო ლილოელი

ლილოელი გამოჩენილი ქართველი ფალავნის თედო გიორგის ძე ავალიშვილის ფსევდონიმი იყო. თედო სოფელ ლილოში დაიბადა და აღიზარდა. ეს ფსევდონიმიც ამიტომ აურჩევია.

ლილოში ქართული ჭიდაობა ძველთაგანვე ყოფილა დამკვიდრებული და თედოსაც არ უღალატნია ტრადიციისთვის. ჭიდაობა ჭაბუკობაში დაიწყო. სარბიელზე თითქმის სამი ათეული წელი გაატარა და მეტწილად გამარჯვებული გამოდიოდა.

ვინ იცის, რამდენ ფალავანს დასჭიდებია თავის სიცოცხლეში. იგი ახლო მეგობარი იყო სახელგანთქმული ქართველი ფალავნების კულა გლდანელის და კოსტა მაისურაძისა, ჭიდაობდა ლილოში და მის მოსაზღვრე გარე კახეთის სოფლებში: ხაშმში, საგარეჯოში, პატარძეულში, ნინოწმინდაში და სხვაგან. შემდეგ თბილისში მიიწვიეს, სადაც არაერთხელ გამოიჩინა თავი, როგორც ჩინებულმა ათლეტმა.

1895 წელს თედოს ბაქოში იმ დროისთვის ცნობილი მოჭიდავე ალთი-აილული წაუქცევია, მცხეთაში, სვეტიცხოვლობისას კი დაუმარცხებია ტონე თიანელი, რომელიც, აგრეთვე, განთქმული მოჭიდავე გახლდათ. გადმოცემით, დღეობაზე ილია ჭავჭავაძეც ყოფილა. ცნობილი ფალავნის ილეთებითა და გამარჯვებით აღფრთოვანებული პოეტი ამდგარა და მისკენ წასულა, თედო კი თავის მხრივ წინ შეგებებია. ილიას შუბლზე უკოცნია მისთვის და ოქროს თუმნიანიც უჩუქნია.

ერთხელ თედო ლილოელმა კულა გლდანელსაც მოუგო. კულას ვერცხლის ქამარი შეუხსნია წელიდან და მისთვის მიუცია საჩუქრად. ეს ქამარი დღემდე ინახება თედოს შვილებთან, როგორც ძვირფასი რელიქვია.

ცნობილ ნიკიტინს (ცირკის პატრონს) თედო თბილისში მიუწვევია. იგი

## წარსულის ფურცლები

აქაც დიდხანს ჭიდაობდა, ხოლო როცა მოხუცდა, უკვე მთავარი არბიტრის როლს ასრულებდა. მას ყველგან თან ახლდა დისწული დიმიტრი, რომელიც ჭიდაობის დიდი ტრფიალი იყო.

თედო ლილოელი გარდაიცვალა 1932 წელს, 72 წლისა. დაკრძალულია ლილოში, სასაფლაოზე, რომელიც მაღალი გორაკიდან გადმოსცქერის სოფელსა და ვაკეს.

სოფლის უხუცესთ ბევრი რამ ახსოვთ გამოჩენილი ფალავნის ცხოვრებიდან.

თედოს ვაჟმა, ვასილ ავალიშვილმა გადმოგვცა: „მამაჩემმა რომ ჭიდაობა დაიწყო, ასე, 10-12 წლისა ვიქნებოდი. ლილოში ამოვიდა ვინმე ნიკიტინი, ცირკის პატრონი, და სთხოვა, თბილისში წამოდი, ცირკში იჭიდავეო. თბილისში მამაჩემმა წააქცია თათარი მოჭიდავე ალთი-აილული, რომელმაც მოგვიანებით ბაქოში გაიწვია იგი. თედომ იქაც იმარჯვა. ჭიდაობას დაესწრნენ კულა გლდანელი და სტეფანე (ეს უკანასკნელი სირაჯი იყო და მამას მუდამ თან ახლდა).

მამაჩემი ხაშმელთა სიძე იყო და ახალგაზრდობაში იქაც ჭიდაობდა ... მე. წაქცეული „ჰყავდა პატარძეულელი ილიკო ფაფაშვილი, რომელმაც მეორე წელსაც გამოითხოვა მამა საჭიდაოდ, მაგრამ თედომ მაშინაც წააქცია იგი. სამების დღეობაზე კი მამამ აშკარად დაჩაგრა კარგი ვაჟკაცი, კაკაბეთელი ნიკა მჭედლიშვილი“.

დიდი ლილოს მცხოვრებმა, 93 წლის დავით ბაგაშვილმა გვიამბო: „ლილოში თედოსთან დაჭიდებას ვერავინ ბედავდა, იგი მეტწილად პატარძეულში, ხაშმში და სხვა მახლობელ სოფლებში ჭიდაობდა. ხაშმში თავად თადიაშვილს ქორწილი ჰქონდა, თედო თათარ ქარბოლას უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ თათარი გაიქცა და ხალხში დაიმალა“.

82 წლის ვასო ქარქუსაშვილმა გაიხსენა: „თედო ავალიშვილი განთქმული ფალავანი იყო. კავკავს აქეთ ისეთი მოჭიდავე არ გამოჩენილა. ჭიდაობდა ლილოში, პატარძეულში და სხვაგან. საქართველოს ფალავანი არ დააკლდება. მე თვითონ ვნახე, თედო რომ მედროგე ურეხას დაეჭიდა და წააქცია, ურეხას მკლავს უქებდნენ“.

78 წლის ლუკა ვანიშვილი კი იგონებს: „ერთხელ თედო ლილოელი ბაქოში ალთი-აილულს დაეჭიდა და წააქცია, სვეტიცხოვლობას თიანელსაც მოუგო. მახსოვს, ხმა გავარდა, თედო ლილოელს ნორიოელი ღონიაშვილი დაეჭიდაო. მერე ლილოში დღეობაზე ჩამოვიდნენ ნორიოდან ვასო და სანდრო ღონიაშვილები და თედოს უთხრეს: ტყუილი ხმებია, თქვენ აბა ვინ დაგეჭიდებათო“.

ვ. სიდამონიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ლილო,
გარდაბნის რაიონი.

## ფინიშის ზღურბლზე

**კრასნოდარი,** 3 სექტემბერი **(ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** საკავშირო პირველობის ნახევარფინალში გადადებული პარტიების დამთავრებისას ჯინჯიხაშვილი დამარცხდა ტერენტიევთან. ლეინმა მოუგო ბუხმანს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბორისენკოსთან.

8 ტურის შემდეგ დაწინაურდა საერთაშორისო ოსტატი ლეინი — 6 ქულა. მას მიჰყვებიან: ოსტატები კოტკოვი, გიპსლისი (5,5-5,5), ტერენტიევი (5), იგნატიევი, გუფელდი, კლოვანი, დიდოსტატი ვასიუკოვი და ოსტატობის კანდიდატი აკოფიანი (4,5-4,5). ჯინჯიხაშვილს 4 ქულა აქვს, ხოლო ბუსლაევს — 1,5.

## სხვადასხვა ქვეყნებიდან

● **ვენა,** 2 სექტემბერი. ჰოკეის საერთაშორისო ლიგის კონგრესმა განსაზღვრა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის (გაიმართება ავსტრიის დედაქალაქში 1967 წელს) ჯგუფების შემადგენლობანი. „ა“ ჯგუფში შევიდნენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, შვეციის, ამერიკის შეერთებული შტატების, გდრ-ის, ფინეთისა და გფრ-ის გუნდები; „ბ“ ჯგუფში — რუმინეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, უნგრეთის, შვეიცარიის, იტალიის, პოლონეთისა და ავსტრიის ჰოკეისტები; „ც“ ჯგუფში — იაპონიის, დანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ბულგარეთის ნაკრები კოლექტივები. კონგრესმა, აგრეთვე, მიიღო გადაწყვეტილება ნება დართოს მოყვარულ და პროფესიონალ ჰოკეისტებს ამხანაგურ მატჩებში შეხვდნენ ერთმანეთს. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საამისოდ საჭიროა ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ლიგის პრეზიდენტისა და კანადა — ამერიკის პროფესიული ლიგის პრეზიდენტის ნებართვა. ეროვნულ ფედერაციებს უფლება მიეცათ მსოფლიო ჩემპიონატზე 3-3 არბიტრის კანდიდატურების წამოყენებისა.

● **სტოკჰოლმი,** 2 სექტემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონებმა — ცსკა-ს ჰოკეისტებმა თავიანთი პირველი საერთაშორისო მატჩი შვეციაში ქ. ერნშელდსვიკში გამართეს „მოდოსთან“. ეს გუნდი ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 10:0.

● *ერებრუ,* 2 სექტემბერი. შვეციის ამ ქალაქის გარეუბანში გრძელდება „სამოტოციკლო ოლიმპიადა“ — ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყნის მოტოციკლისტთა 6-დღიანი შეჯიბრება. პირველ ორ დღეს იდგა მშრალი, მზიანი ამინდი, მაგრამ აი, გუშინ მრბოლელებს კოკისპირულ წვიმაში მოუხდათ ასპარეზობა. მთავარი პრიზისთვის — „ეროვნული ნადავლისთვის“ ბრძოლაში უჯარიმოდ მხოლოდ გდრ-ის, შვეციისა და ინგლისის გუნდები დარჩნენ. გფრ-ის გუნდს 4 საჯარიმო ქულა აქვს, ჩეხოსლოვაკიისას — 203, სსრ კავშირისას — 222, ესპანეთისას — 223. საბჭოთა გუნდში „იჟ“ მარკის მოტოციკლის გაფუჭების გამო რბოლას გამოეთიშა გ. ჩაშჩიპოვი. კარგად გამოდიან „კოვროვეცის“ მოტოციკლებზე საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც „ვერცხლის სურისთვის“ ჯერჯერობით დაუჯარიმებლად იბრძვიან. წინ „ექვსდღიურის“ კიდევ 3 ეტაპია. 15 საბჭოთა მრბოლელიდან 12 ჯერჯერობით არ დაჯარიმებულა და ოქროს მედლების პრეტენზიას აცხადებს.

● **ბლედი,** 2 სექტემბერი. იუგოსლავიის ამ საკურორტო ქალაქში, რომელიც მთიან სლოვენიაში მდებარეობს, მიმდინარეობს აკადემიურ ნიჩბოსნობაში II მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბოლო სამზადისი. ირგვლივ მდებარე ალპების პეიზაჟთან წარმტაცად შეხამებული ბლედის ტბა უკვე „დახაზულია“ 6 ორკილომეტრიანი ბილიკით. ტბის ნაპირებზე აღმართულია ტრიბუნები და დადგმულია ვეებერთელა წამმზომები. შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ისინი მოელიან 32 ქვეყნის 500-ზე მეტ ნიჩბოსანს. მონაწილენი ბრძოლას სხვადასხვა „კალიბრის“ 140 ნავზე გააჩაღებენ.

● *ნიტრა (ჩეხოსლოვაკია),* 3 სექტემბერი. ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს გდრ-ის ნაკრებს — 3:0 (15:6, 15:9, 15:2). ამ მოგებით საბჭოთა ფრენბურთელებმა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, თანაც „ოქროს“ 2 ქულით. დამარცხებულებიც ფინალურ ტურნირში მოხვდნენ, ვინაიდან II ადგილზე გავიდნენ. ფინალში ასპარეზობის დიდი შანსები აქვთ, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთის, იაპონიის, ბრაზილიის, პოლონეთისა და რუმინეთის სპორტსმენებს. ფინალური თამაშები 5 სექტემბერს დაიწყება.



# იზრდება

გამარჯვებით მთავრდება, ხან მეორისა. ამჯერად, ისლანოვამ მოიგო. მაგრამ ეს გამარჯვება მან ძალიან იოლად მოიპოვა: მოროზოვამ ბევრი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით, ბურთის გადაწოდების დროს და დამარცხდა. ეს საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს მწვრთნელებისთვის, ვინაიდან მოროზოვა ერთ-ერთი ნიჭიერი მოთამაშეა და ბევრჯერ წარმატებით გამოსულა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ისლანოვას უფრო ინტენსიური ფიზიკური მომზადება სჭირდება. იგი ნაკლებ მოქნილია და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ნიჭიერ სპორტსმენს სამამულო და საზღვარგარეთის ჩოგბურთის უძლიერეს წარმომადგენლებთან წარმატებით ასპარეზობაში.

შესაძლოა ჩვენმა გოგონებმა გაისადან სუაბოს თასის გათამაშებაში მიიღონ მონაწილეობა. ეს, ფაქტიურად, ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ევროპული პირველობაა. ისლანოვასა და მოროზოვას გარდა, საბჭოთა გუნდის წევრობისთვის პრეტენზიას აცხადებენ: საკავშირო შეჯიბრების III პრიზიორი, ესტონელი კრესი, რომელიც მრავალფეროვნად თამაშობს და ტექნიკურად სრულყოფილია, აგრეთვე, მოსკოველი კრიუჩკოვა, ლატვიელი იანსონე, ქართველი რუხაძე, ლენინგრადელი ერემეევა, სოჭელები ივანოვა და სტელმაშჩუკი. ეს გოგონები კარგად ფლობენ თამაშის თანამედროვე შემტევ სტილს.

ტალინის ტურნირმა ჩრდილოვანი მხარეებიც გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ არც თუ უმნიშვნელო ტექნიკურ-ტაქტიკურ არსენალს ფლობენ, ჩვენი ჩოგბურთელი გოგონები ცალკეულ პერიოდებში მიუტევებელ შეცდომებს უშვებენ და უღიმღამოდ თამაშობენ. მაგალითად, მოსკოველი იზოპაიტისი და კიეველი პეტროვა 4 საათის განმავლობაში „აჩვენებდნენ“ თუ როგორ უნდა ბურთის გადაგდება მოედნის ერთი მხარიდან მეორეში. და ეს მაშინ, როცა ორივე 16 წლისაა, ფიზიკურად ძლიერია და ორივეს შეუძლია თანამედროვე შემტევი მანერით თამაში. მწვრთნელებმა ახლავე უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რომ ამგვარმა „წარსულის რეციდივებმა“ ფეხი ვერ მოიკიდოს.

უმცროსი ასაკის გოგონებში ყველას აჯობა საქართველოს წარმომადგენელმა, პატარა, ძალზე მოძრავმა პაპაიანმა. კარგად ითამაშეს ესტონელმა სინკევიჩმაც, ყაზახეთის წარმომადგენლებმა პჩელინცოვამ და, განსაკუთრებით, 13 წლის კროშინამ. ეს უკანასკნელი იძლევა იმედს, რომ მაღალი კლასის ჩოგბურთელი გახდეს.

ტალინის სპორტულმა ბატალიებმა ცხადყვეს, რომ ჩვენი მწვრთნელები, პირველ ყოვლისა, ტეპლიაკოვა (მოსკოვი), კრეე (ესტონეთი), კლდიაშვილი (საქართველო), შულგა (ლვოვი), ველცი (ყაზახეთი) დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩოგბურთელთა მომავალ თაობასთან. სამწუხაროდ, ახალგაზრდული ჩოგბურთის პროგრესი ყველა რესპუბლიკაში როდი შეიმჩნევა. მაგალითად, ყირგიზეთის, თურქმენეთის, მოლდავეთის სპორტულმა ორგანიზაციებმა საერთოდ არ გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები ტალინის ტურნირზე. როგორც ჩანს, ამ რესპუბლიკებში ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის, განსაკუთრებით, ბავშვებსა და ჭაბუკებში. ასე იყო თუ ისე, ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებამ გაგვახარა. საბჭოთა ჩოგბურთი სწორ გზაზე დგას და განუხრელად მიდის წინ.

ა. პრავდინი.

# უსიურპრიზოდ

**მაინის ფრანკფურტი, 2 სექტემბერი.** ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტრეკზე ჯერ ტანდემისტები გამოჩნდნენ, შემდეგ კი გამოდევნებით გუნდური რბოლის მონაწილენი.

წინასწარი შეჯიბრებები უსიურპრიზოდ ჩატარდა. საბჭოთა ტანდემმა — ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა (რიგელი ი. ბოდნიეკსი და მოსკოველი ვ. ლოგუნოვი) ადვილად მოუგო ინგლისელთა დუეტს (ჯ. კუკი და ე. ტომპსონი) და მეოთხედფინალში გავიდა. „მრისხანე" შთაბეჭდილებას ტოვებს ფრანგული წყვილიც. თავად განსაჯეთ: ერთ ველოსიპედს მსოფლიოს 2 ჩემპიონი — დ. მორელონი და პ. ტრანტენი მიაქროლებენ!

გუნდურ რბოლაში სსრ კავშირის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოუწევს. ს. მოსკვინმა, ლ. ვუკოლოვმა და მ. კოლიუშევმა დღეს მეორე შედეგი აჩვენეს — 4.35,36. გუნდის მეოთხე მონაწილე, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. ბიკოვი რბოლის დროს ხშირად ვარდებოდა რიტმიდან და ბოლოსდაბოლოს, ფინიშამდე 2 წრით ადრე, ჩამორჩა. საბჭოთა სპორტსმენები მეოთხედფინალში ინგლისელებს შეხვდებიან. ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი იტალიის კარგად მომზადებულ ნაკრებს აქვს — 4.30,02.

# ყოველი მხრიდან

## ლიდიარდი ებრძვის ინფარქტს

Artur ლიდიარდს კარგად იცნობს სპორტული სამყარო. ეს დიდი სახელი ახალზელანდიელ მწვრთნელს მოუპოვა მძლეოსანთა მომზადების საკუთარმა მეთოდებმა. ლიდიარდმა მოამზადა სახელმოხვეჭილი მორბენლები — მსოფლიოს რეკორდსმენები და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები პიტერ სნელი, მიურეი ჰალბერგი, ბარი მაჯი, ჯონ დევისი, რომელთაც რომსა და ტოკიოში ოქროს 4 და ბრინჯაოს 2 მედალი მოიპოვეს.

ამას წინათ ლიდიარდმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „მიუხედავად ყოველივე ამისა, არავის აქვს უფლება ამტკიცოს, რომ ჩემი მოღვაწეობის მთავარი მიზანი მხოლოდ ვარსკვლავების მომზადებაა. ჩვენ ვვარჯიშობთ არა მარტო იმისთვის, რომ იერიში მივიტანოთ მსოფლიო რეკორდებზე და ოლიმპიურ თამაშებში გავიმარჯვოთ, ჩვენი უპირველესი ამოცანაა დავამარცხოთ თანამედროვე ცივილიზაციის მკვლელი — ინფარქტი".

შემდეგ ლიდიარდმა შეკრებილთ გაუზიარა თავისი გამოცდილება ინფარქტთან ბრძოლაში.

„ამჟამად ვმუშაობ გულით დაავადებულთა ერთ ჯგუფთან. ამ ადამიანებს ჯანმრთელობა შეურყია გადაღლამ, დაერღვათ სისხლძარღვთა მუშაობა, სისხლის მიმოქცევა, აქვთ არანორმალური წონა. ახლა მათ ინფარქტი ემუქრებათ და მზად არიან უდიდესი საფასური გადაუხადონ გამოჩენილ ექიმებს. მე კი მათ საკუთარი წამლით — რბენით ვმკურნალობ.

თავდაპირველად ვერც ერთი მათგანი ვერ ფარავდა შეუსვენებლივ 1 მილსაც კი. ჩვენ დავრბოდით პატარა მანძილებზე. შემდეგ დატვირთვა გავზარდე. ჩემს „აღსაზრდელებს" ვაიძულებდი 2-3 მილი და ზოგჯერ მეტიც გაერბინათ. 6 თვის თავზე მათ უკვე შეეძლოთ საკმაოდ კარგ დროში დაეძლიათ ძალიან რთული დისტანცია — 16 მილი (26 კმ).

დავსძენ, რომ ჩემს ჯგუფში შემავალთა ასაკი 25-დან 65 წელია".

## სკანდალი ფართო ფენებს მოედო

Იტალიური „გაზეტა დელო სპორტი" წერს: „იმ გარემოებას, რომ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრები დოპინგს იღებენ, დიდი სკანდალი და საზოგადოებრივი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. დღეს ეს ამბავი ფართო ფენების უფრო და უფრო მეტ აღშფოთებას იწვევს".

მართლაც, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია აალელვა „სკუადრა აძურას" მოწინავე მოთამაშეების აღსარებამ გაზეთ „სტადიოს" ფურცლებზე. ფეხბურთელები წერენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის თამაშების დაწყებამდე მათ აიძულებდნენ მიეღოთ რაღაც აბები და ყოველგვარი ინექციები.

ეს ოფიციალურად უარყო, პირველ ყოვლისა, გუნდის ექიმმა, დოქტორმა ფინომ, რომელმაც განაცხადა — ფეხბურთელების მტკიცება „აბსოლუტურად სასაცილოაო". ფინომ დაადანაშაულა ბულგარელი და ნაკრების სხვა წევრები, რომ ისინი ცდილობენ გუნდის მარცხი არარსებულ გარემოებებსა და სრულიად უდანაშაულო პირებს გადააბრალონ.

„მე ყველაფერს გავაკეთებ, — აღნიშნავს ექიმი, — რომ დავიცვა ჩემი რეპუტაცია". ფინომ ითხოვა იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მოიწვიოს საგანგებო კომისია, რომელიც გუნდის წევრების განცხადებას გამოიკვლევს.

იტალიის ნაკრების მწვრთნელი ე. ფაბრი ჯერ საერთოდ უარს ამბობდა კომენტარი გაეკეთებინა ფეხბურთელთა განცხადებისთვის, ჟურნალისტთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ კი აღიარა, რომ ჩემპიონატის თამაშების დროს იტალიელი სპორტსმენები არაჩვეულებრივად დაღლილი იყვნენ (ბულგარელი და სხვები მიიჩნევენ, რომ ეს დაღლილობა გამოწვეული იყო უსწოროდ შერჩეული დოპინგით).

რაც შეეხება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, სენიორ პასალაკვიას, იგი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. პრეზიდენტი ყოველნაირად ცდილობს, რომ თავისი ღირსება დაიცვას და სკანდალი როგორმე ჩააქროს. „ჩვენ არ ვადანაშაულებთ ფეხბურთელებს ძალზე აჩქარებული და მოუფიქრებელი განცხადების გამო, — თქვა მან. — ისინი გულნატკენი არიან დამარცხების გამო და უნდა გავუგოთ. მაგრამ მათი განცხადება, ჩემი აზრით, არ შეეფერება სინამდვილეს. უბრალოდ, სპორტსმენებმა ერთმანეთში აურიეს დოპინგი და ჩვეულებრივი ვიტამინები".

გაზეთი „სტადიო", რომელმაც ფეხბურთელთა აღსარება გამოაქვეყნა, წერდა — ჩვენ ვიცით, რომ სპორტსმენებს ახლა მთელი ფედერაცია დაესხმის თავსო.

გაზეთი მართალი გამოდგა...

## მოკრივის სიკვდილი

Კვლავ სიკვდილი რინგზე. ამჯერად ეს მოხდა იაპონიაში. 22 წლის პროფესიონალმა მოკრივემ იოშიო კუბომ დიდხანს ვერ მოახერხა კონტრაქტის დადება. იოშიო ნიჭიერი სპორტსმენია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით სახელის მოხვეჭა ვერ მოასწრო. მენაჯერებს არ აინტერესებდათ ჭაბუკი, რომლის გამოსვლითაც ხელს ვერ მოითბობდნენ.

ამ ბოლო 6 თვეში იოშიოს ბედმა გაუღიმა. მას წინადადება მისცეს შეხვედროდა გაცილებით ძლიერ და გამოცდილ მეტოქეს — შიგეო ნირასავას. იმ ხანებში ნირასავა დამარცხდა იაპონიაში სტუმრად მყოფ ერთ-ერთ მოკრივე პროფესიონალთან და ახლა სურდა „ბრწყინვალე გამარჯვებით" აღედგინა დაკარგული რეპუტაცია. იოშიო მისთვის შესაფერი მეტოქე იყო. რასაკვირველია, სხვა დროს კუბო როდი დასთანხმდებოდა ამ შეხვედრას, მაგრამ ახლა არჩევანის დრო არ ჰქონდა და იგი გამოვიდა ტოკიოს რინგზე ნირასავას პირისპირ. უკვე პირველ რაუნდშივე კუბო ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში. მსაჯები და მენაჯერები ხედავდნენ, რომ ძალები აშკარად უთანაბრო იყო, რომ რინგზე ჩვეულებრივი სისხლისღვრა დატრიალდებოდა, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტა მაინც არავის უცდია. მე-8 რაუნდში კუბო ტომარასავით გადაეკიდა თოკზე. გამხეცებული მეტოქე კვლავ ურტყამდა ჭაბუკს. მსაჯმა ძლივს გამოაცალა ხელიდან ნირასავას მეტოქის ნახევრად უსულო სხეული. კუბო საავადმყოფოში გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით.

იაპონიის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია, რომ მენაჯერები ნამდვილ სასაკლაოს აწყობენ რინგზე და თავის ქვეყანაში კრივის აკრძალვას მოითხოვს.

# ფინა-ს საქმიანი გადაწყვეტილება

ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) ბიურომ გადაწყვიტა ცვლილებანი შეიტანოს მექსიკის ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა შეჯიბრების დებულებაში. ტოკიოსა და რომის ოლიმპიადებისგან განსხვავებით, მოცურავეთა ასპარეზობა მექსიკაში გაგრძელდება არა 8, არამედ 10 დღეს. ამასთან, დაემატება 11 ახალი სახეობა. ტურნირში მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყვანონ გუნდები (34 ვაჟისა და 31 ქალის შემადგენლობით) ისე, რომ პროგრამის ყოველ სახეობაში წარმოადგინონ 3-3 ათლეტი. რაც შეეხება წყალში ხტომას, როგორც ვაჟები, ისე ქალები, ნებისმიერი პროგრამით განახორციელებენ 11 ნახტომს და არა 10-ს, როგორც ეს ადრე იყო.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა წყალბურთმა. წესრიგის დამრღვევს ადრე აუზიდან აძევებდნენ გოლის გატანამდე, ახალი წესით კი დამნაშავეს დაეწერება 1 საჯარიმო ქულა. გუნდის მიერ 3 საჯარიმო ქულის დაგროვების შემთხვევაში მის კარში დაინიშნება 4-მეტრიანი საჯარიმო. გუნდს საჯარიმო ქულა ეწერება იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მოთამაშეები დიდხანს გააჩერებენ ბურთს და დროულად არ ტყორცნიან მეტოქის კარში.

მექსიკის ოლიმპიადაში წყალბურთელთა ფინალურ ტურნირში 16 კოლექტივი გამოვა. პერსონალურად არიან მიწვეული ტოკიოს თამაშებში I-VI ადგილებზე გასულნი — უნგრეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირის, იტალიის, რუმინეთისა და გდრ-ის გუნდები. სხვა ადგილებს შეავსებენ: ევროპის ჩემპიონატის 3 პრიზიორი, აზიისა და პანამერიკული თამაშების 2-2 პრიზიორი, 2 საუკეთესო გუნდი აფრიკიდან და თამაშების მასპინძელი — მექსიკა. 16 ფინალისტი შექმნის ორ ქვეჯგუფს (და არა ოთხს, როგორც ადრე იყო). ჯგუფებში გამარჯვებულნი ითამაშებენ I-II ადგილებისთვის, II ადგილზე გასულნი — III-IV ადგილებისთვის და ა. შ.

ფედერაციის ბიურომ დაადგინა მსოფლიო რეკორდებისთვის სარეგისტრაციო ნორმატივებიც 200 მეტრზე და 220 იარდზე კომპლექსურ ცურვაში. აი, ისინიც: 200 მეტრზე ვაჟებისთვის — 2.13,0, ქალებისთვის — 2.28,0; 220 იარდზე — 2.14,0 და 2.29,0 შესაბამისად. როგორც ცნობილია, 200 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში მსოფლიო რეკორდებს უკვე გაუჩნდნენ პირველი მფლობელები: ვაჟებში — გ. ბაკინჰემი — 2.12,4 და ქალებში — კ. კოლბი — 2.27,8 (ორივენი — აშშ).


ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ო. ფხაკაძე.

# დოპინგი კვლავ ყურადღების ცენტრშია

მაინის ფრანკფურტი, 2 სექტემბერი. ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელ კომიტეტს მოსვენება არა აქვს. გუშინაც კი, შეჯიბრებისგან თავისუფალ დღეს, იგი სასტუმრო „ინტერკონტინენტალის" მყუდრო ჰოლში ფარულად თათბირობდა. მართალია, სხდომა საიდუმლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ჟურნალისტებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ დისკუსიის მთავარი საკითხი დოპინგთან იყო დაკავშირებული.

ცეცხლს ნავთი პროფესიონალებმა დაასხეს, რომლებმაც საგზატკეცილო რბოლის შემდეგ დაარღვიეს ამას წინათ დადგენილი წესი და ანალიზების ჩაბარებაზე უარი თქვეს. პროტესტანტთა შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი რუდი ალტიგი, ფრანგები ჟაკ ანკეტილი, რაიმონდ პულიდორი და სხვ. მათ სოლიდარობას უწევდა მოყვარულთა შორის გამოდევნებით რბოლის III პრიზიორი, იტალიელი ჯორჯიო ურსი.

ურჩ პროფესიონალებს ფედერაციამ 2 თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა (პულიდორის გარდა, რომლის სასჯელის ვადა ერთი თვით შეამცირეს). ამას გარდა, ანკეტილი, რომელიც არ გამოცხადდა დაჯილდოებაზე, დააჯარიმეს 2000 ახალი ფრანკით, ხოლო ურსის 3 თვით აუკრძალეს შეჯიბრებებში მონაწილეობა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დისკვალიფიკაცია დღეიდან შედის ძალაში.




მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა საგზატკეცილო რბოლაში რ. ალტიგი (გფრ).

გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გამოიწვია პროფესიონალებში, რომელთა შორის უმრავლესობა პარიზ—ლუქსემბურგის რბოლისთვის ემზადებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ წესებს სრულყოფა აკლია, ვინაიდან დოპინგმიღებულ სპორტსმენს გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონის ტიტულს არ ართმევენ. როგორც ჩანს, ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელიც ნოემბერში გაიმართება, შეეცდება მოჰფინოს ამ გაურკვევლობას ნათელი.

საქმე პროფესიონალი

**ფეხბურთი**

# ყურადღება, მოდის ახალი პელე!

Ესპანეთის საკურორტო ქალაქ სან-სებასტიანის თავკაცებს ველოსიპედისტთა შარშანდელმა მსოფლიო პირველობამ საკმაოდ სოლიდური მოგება მოუტანა. ამიტომ აბა, რა გასაკვირია, რომ ამ დღიდან მათ სპორტის დიდი „სიყვარული" აღეძრათ. ერთი წლის განმავლობაში სან-სებასტიანმა ასპარეზი დაუთმო ამერიკის პროფესიონალ კალათბურთელებს, მოკრივეებს, ავსტრალიელ ჩოგბურთელებსა და საკმაოდ მოითბო ხელი ამ სპორტულ-კომერციულ ოპერაციებზე.

ქალაქის თავკაცებმა სპორტის სიყვარულში კიდევ უფრო შორს შეტოპეს და ამ ცოტა ხნის წინ მოაწყეს ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ღონისძიების ფინანსური მხარე ჩვენთვის უცნობია, მაგრამ სან-სებასტიანის ტურნირმა, შესაძლოა, დასაბამი მისცეს მსოფლიო ფეხბურთის მორიგ სენსაციას.

საქმე ისაა, რომ ტურნირის ერთ-ერთმა მონაწილემ, არგენტინის პოპულარულმა კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა" ესპანეთში ჩამოიყვანა 21 წლის სუდანელი ფეხბურთელი ხილალ ხასან ხიასკა, რომელშიც სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა პოტენციური პელე იხილეს.

სუდანელის თამაში თვით „ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელობისთვისაც მოულოდნელი იყო. კლუბის გამგეობის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, „სან-სებასტიანში თამაშისთვის მიღებული ჰონორარი — 45 ათასი დოლარი, არაფერია იმასთან, რაც ამ სუდანელს შეუძლია კლუბის სალაროს მოუტანოს".

## „ნანტი" ლიდერობს

Საფრანგეთის პირველობის მორიგ ტურში ქვეყნის ჩემპიონი „ნანტი" შეხვდა „ლანს" და დაამარცხა იგი — 3:1.

„რეიმსმა" საკუთარ მინდორზე წააგო „ტულუზასთან" — 1:3.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ნანტი" | 3 | 11:6 | 5 |
| „სენტ-ეტიენი" | 2 | 4:0 | 4 |
| „ბორდო" | 2 | 3:0 | 4 |

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

ფეხბურთი „დინამოს" სტადიონი. 5 სექტემბერი. შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

იმის გამო, რომ თბილისის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" მატჩი შედგება კიროვაბადში, ამ შეხვედრისათვის განკუთვნილი ყველა აბონემენტი (მათ შორის, ფასიანიც) ვარგისია 5 სექტემბრისათვის.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 01753